

# საქართველო

ISSN 0132-6015

3-85

„ჰპრ კიდევ ძველად ამბობდნენ: თუ განსხვავებული მოსაზრებები არ გამოითქვა, არც არსაიდან იქნებოდა ასარჩევი საუკეთესო აზრი. ნამდვილ და არა მოჩვენებითს ერთსულოვნებას, როგორც წესი, ვაღწევთ მას შემდეგ, რაც საკითხი ღრმად არის აწონ-დაწონილი და ყოველმხრივ კოლექტიურად გააზრებული. ერთი სიტყვით ჩვენ მომხრენი ვართ ამხანაგური პაექრობისა, კამათისა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჰკვიანური, საქმიანი კამათისა, რომელსაც საქმიანი წინადადებები ავირგვინებს ხოლმე“.

ნახ. 8. აბაშიძისა

კ. უ. ჩერენცო



— ნუთუ ჩვენს სახელოვან და მოწოდებულ კოლექტივში ჩვენ ვინაღაღებავთ ორი აზრი არსებობს?!





უსტყვოდ.

## გულგებლები და გაკვირვებულები

**დედაქალაქის** მოსახლეობა ორ ძირითად ნაწილად იყოფა — ერთ მხარეს არიან ინდივიდუალური ტელეფონის მფლობელები, მეორეს მხარეს — ინდივიდუალური ტელეფონის მძიებლები. რიცხობრივ უმცირესობასთან ერთად, ინდივიდუალური ტელეფონის მფლობელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაცილებით მცირეა და, რაც არის, ისიც კლებულობს მოშლილი ტელეფონების რიცხვის ზრდის პროპორციულად.

არა გჯერათ? დაგიმტკიცებთ! — ინდივიდუალური ტელეფონის მფლობელს (ანუ აბონენტს, როგორც მას უწოდებენ ატს-ის მუშაკები), დღეში რამდენჯერმე უხდება ნერვების აშლა, რადგან თანამედროვე თბილისური ტელეფონი ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნაკლოვანებებით:

საერთოდ არ იძლევა ზუმერს!

ზუმერს კრიმინალულივით თან ახლავს დაკავების ნიშანი!

ლაპარაკის დროს მოულოდნელად ითიშება, რის გამოც აბონენტი პირდაღებული რჩება როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით!

თქვენი ხმა ისმის, იმისი — არა!

იმისი ხმა ისმის, თქვენი — არა!

არც თქვენი ხმა ისმის, არც — იმისი!

საუბრის დროს ავტომატურად ერთვება ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, ან მეტი (უსასრულობამდე!) აბონენტი, რასაც მოსდევს შემდეგი ტიპური დიალოგი:

— დადე ყურმილი, ვიღაცა ხარ!..

— მე რატომ დავდო?! შენ დადე, თუ კარგია!..

დიალოგის დასასრულს აბონენტები ერთმანეთს უფრო „ლაპაზი“ სიტყვებით „ამკობენ!“

თუ ტელეფონი საერთოდ არ მუშაობს (არც ზუმერს იძლევა და არც დაკავების ნიშანს), აბონენტს შეუძლია დახმარებისათვის მიმართოს რაიონული კვანძის დირექციას, რომელიც მუშაობს ღამის თორმეტიდან დილის 5 საათამდე!

ა. პაპასაშვილი

## გადეჟონო, გზორდები!..

ვერსად ვერვის ვერ ვერ ვერ ვერ  
შენი ნომერ-კოდები... ირითი  
ყურში მიყრი „ტ უ-ტ უ“-ს ეკლად!..

ვღრინავ, ვყვირი, ვშფოთდები!

ვიცი, შენით გამისკდება

გული! — შენით მოვკვდები!..

ამიტომაც, საყვირალო

ტელეფონო, გზორდები!..

დემო კრატია

## ოხნა და სინამდვილე

დიდხანს ველოდი.. რა არ ვილონე მისი გულისთვის!.. რა არ გავაკეთე, ჩემს ბინაში რომ მენახა, ჩემი საკუთრება რომ გამზღარიყო!..


და მაშინ, როცა გადაწურული მეგონა ყველაფერი, მოულოდნელად ჩემს სახლში ცისკრის ზარბივით გაისმა მისი ხმა!..

უზომოდ გახარებული, თავს ვეველებოდი, მაგრამ ბედნიერება სულ მალე გაუთავებელი წამებით შემეცვალა. დამეკარგა ძილი, მოსვენება, ამეშალა ნერვები, ამიწია წნევამ!..

ახლა საათობით ვვივარ მასთან და ვერსად გავდივარ!..

რა ვუთხრა იმას, ვინც... ტელეფონი ინატროს!

გიგლა ბასტაძე



უსტყვოდ.



— რა ხასიათზე უნდა ვიყოთ, უფროსად რომ ხარაბუჯას დაგვინიშნავენ?!


ნახ. მერაბ გეგაძისა




— ექსკურსიამძღოლს მუზეუმიდან გაღერებებში წანწალით ორი-სამი დღე რომ არ დაეკარგვინებინა, ნაღდად ფილაიასაც ჩამოვითანდით!




— ცოტა ხანს მსუბუქ ადგილზე წაიშუშავე, ჭერ თქვენს დიბლომს წონა არა აქვს!



— უფროსო, დავილუბეთ, მშენებლობის გეგმა ჩაგვივარდა!..



— რა არის ეს?  
— როგორც კი პათვისცემას დავეუგვიანებდი, მაშინვე ყველაფერს ჭამდა!



— უიმე, ისევ რევიზია დაგატყდათ?!

# 50-ეტი წელიწადი სტალინის ხელმძღვანელობის ხელისუფლების განხორციელების დროს



სტალინის დედა

სტალინის დედა არის სტალინის  
 ლეონის რაჭვის  
 და ვაჟა-ფშაველას  
 დედას რომისის,  
 თვითონ,  
 ვინაობის  
 სიტყვა ნაკლები,  
 სიტყვა ნაკლები,  
 ზოგი ლეონისთვის,  
 ზოგი მუხომან  
 პირისა,  
 ახლს გვერის საკეთილ ფრთით,  
 ზოგი საკეთილ გარდაცემულ  
 სხვისი ნათესავის თათბირ და ქართი,  
 ერთად შევიღონ მუღღები წერობის,  
 პირის და ლხინის,  
 უფლის მკობლის.  
 ზოგის პიტიონი მრედედინა ლომის,  
 ზოგის სხვათა — კარის ქანაღლი,  
 ერთობლივ თავის ზედას ან წესტორის,  
 პირის მიწვევა,  
 მიწვევათა და დეზერტირით —  
 უფლის მიწვევათა,  
 ზოგის იამის  
 კვირ არ ივის წვენი მშვიდობის,  
 ზოგს მუხომან ნაღვლ მუ უკეთობის  
 ბეჭელი და ახლს სტალინის.  
 სტალინის  
 ახლს და შარბავეთა  
 ფეხების,  
 არ სტალინის სახელითადაც,  
 ზოგის ვაჟა-ფშაველას მუღღებთა  
 და ურბუხავ ახლს ფეხებზედად.

დაიწყო რბენა...  
 წინ ვაჭარს ლაშობს:  
 ნაწილობრივ, უმეტესად,  
 კომუნის, ალბათობის...  
 ტრიალშიმდინა იფრქვევა ლაპა,  
 ყვეალო, პიპა,  
 მთლილი, მათარა...  
 ჯერ — მიწვევით,  
 შერე — ჯიბით,  
 შერე კლავრით ცვლის  
 მუხომან მიწვევას...  
 ფრთა...  
 დრო დროში გამარჯვებულს  
 მოვითხოვს დაჯილდოვებას!

ვითომდა აინტერესები  
 ნაყის, დარღვევის მიხედვით...  
 პირდაპირ წელში ვაჯილდოვებ  
 ამდენმა რევიზიზმმა...  
 ახლა ვუკლები, მათე რომ  
 არ უკეთობი ზურგის სახელი, —  
 რომ მარტო გენი კი არა,  
 თვით იმითი შინაგანად  
 იხს, მაღალი მამა აბრამის  
 პატრონი არც წყნარ არა ვარო,  
 მაგრამ ის გინდა იფრთხილ,  
 წყნარ ვინ ვაქცია მარაგავს!  
 სასოგადოებრივი თანხი —  
 ვაგებებს ნაღვს, იფრთხილ...  
 შერე კი დღეს მუხომანს  
 მოვითხოვუ პატრონებას!

მივათხოვს ლხინს ლურჯ ტბას —  
 მათე ახალ სახეობას,  
 რაჟ იქ ვნახე თაბულას ან  
 დაჯილდოვ საკუთარს.  
 ვინ ვითრებს სიტყვებს იმით  
 შესაფრთხილ — ხალხმდობს...  
 მოვითხოვ თათე ერთად  
 თათს, მძღვლს და მამამდობს.  
 ერთმანეთში არცა  
 სიმძღვლს და სინაღვლს,  
 ვინაჟი სწავლ სასტუმრს და  
 მუღღებ-მუღღებ სოფთობს.  
 ვითრებს ვლარ ვურავ  
 რაჟა ახლს წვეული  
 უმნათის ხნის აფრთხილ  
 ტრის შირთაბული.  
 ვინაჟ თათის მომცემუღებს  
 კეთი ტრის მუღღებთა...  
 ისინი დღეს-ხელ ვაგებენ  
 კლავრების ჰეძლი.  
 მუხომანს მუხომანთ,  
 ვინაჟ, რაჟი ვინაჟ  
 სინაღვლს წლის სინაღვლს  
 სინაღვლს წლის სინაღვლს...  
 წინაწილობის კორინტებს  
 არ თაბულას აბრამის,  
 ცხრა წილობის თათე აწინებს,  
 წელი დაჟებს წინაწილობის.  
 სტალინს ვაჟა-ფშაველას  
 იფრთხილ ვაქცევს  
 და პირდაპირ საკუთარი  
 ზურგის მომცემუღებს.

## რას შინა რაწარმოი მიმის ვითრები

რაბო ვაქცევს? — კუხობს  
 რომ წეს ნოემბრით მივიღო,  
 წესს ვარდა კიდე სახს ჰქონდა  
 მუხომან საწილის მიღობა...  
 რაბო ვაქცევს? — ვაქცევს და,  
 შერე მიხედვით თვითონაც  
 ვინაჟ მიღებს სახ კომუნებს  
 და ვაგებობს მიტოვებს...  
 საღვთობა საღვთობებს  
 სატრის ხელს ვინაჟებს,  
 ჭეთობი მიწის, თათის და  
 რომს ცხრაჯერ ვლარაბაქ...  
 ინგლისი წელი მიწვევებს  
 ცოცხ,  
 მისხვლებს ძლივს ხახას!  
 ფულს ურბუხავ მამდევინებენ  
 ცოცხ და სხელი წელსახას!

## ს უ რ ი

„ს უ რ ი არს მუხომანის ხეობის  
 კეთილის ზედა“.  
 ხ ა ა

ზოგი შერით ჰქვას კარავს, —  
 სხვა რომ ცხრაჯერ მანხ კარავს.  
 მის ცოლ-მუღღებს ვაქცევს  
 თუ იხილს, — შერით ვინაჟს!  
 სხვის რომ კარგი სახელი უღებს, —  
 მისი შერის წესს და ზედას.  
 წესს, ვლარს მიწის ფრთა, —  
 მანხ კარავს სხვა რომ მღვთის.  
 პირის ურბუხავ თვითონაც ვაქცევს, —  
 სხვა რომ ცვავს მანხ უკეთ.  
 ვინაჟებს,  
 პირდაპირ,  
 ლეონს, —  
 მანხ კარავს სხვა რომ ცვავს.  
 მუღღობს კი შერის —  
 „მ რეგობი  
 არაფრით აწინებს!“  
 და სტალინი ახლს ახლს —  
 ივის, ხალხს, რაბო არ სურს —  
 ვინ იწვევს ვლარ მუღღების,  
 ვინ სხვისი სტალინის.

## არ ვითრებს, პრას...

მამამდობს წესით,  
 წესით და რაბოთ,  
 ვინაჟი ურბუხობს,  
 რაბო ვინაჟ, — ვინაჟი  
 ვაქცევთ ვერხლ  
 ფეხებს,  
 ურბუხობს და მიკრის;  
 ზოგი სულ არ თვლის,  
 მაგრამ მათე იქნის.  
 ვინაჟ,  
 ტრის შირთაბებს  
 მუხომანს მიწის.  
 არ მოიბრებს, არა,  
 წელი ვითრების კეთი



— „მარტოა?“  
 — „რაბო და რაბობის?“  
 — „რაბობა?“  
 — „რაბობა?“  
 — „რაბობა?“  
 კეთი ნაღვლ კი არა,  
 ან კომუნობს ხახს,  
 პუმიანს,  
 რაბობს,  
 საღვლს...  
 ახლს მუხომანს ვანგნის  
 მუ რა ურბუხა ხახას!

ვინაჟ თათის მომცემუღებს  
 კეთი ტრის მუღღებთა...  
 ისინი დღეს-ხელ ვაგებენ  
 კლავრების ჰეძლი.  
 მუხომანს მუხომანთ,  
 ვინაჟ, რაჟი ვინაჟ  
 სინაღვლს წლის სინაღვლს  
 სინაღვლს წლის სინაღვლს...  
 წინაწილობის კორინტებს  
 არ თაბულას აბრამის,  
 ცხრა წილობის თათე აწინებს,  
 წელი დაჟებს წინაწილობის.  
 სტალინს ვაჟა-ფშაველას  
 იფრთხილ ვაქცევს  
 და პირდაპირ საკუთარი  
 ზურგის მომცემუღებს.



## „ნაწილობრივ“

მისამდობა,  
 ავრთობს,  
 ზღვას ვაქცევს ვაქცევს ვაქცევს  
 სახეს ნაწილობრივ  
 წესს საწილი მათე...  
 დღეს ვარ ვაქცევს  
 მუხომან ურბუხავ  
 მუხომან,  
 მაგრამ რაჟ ვინაჟ!  
 მუღღობს შერე მ. შირთაბის  
 იფრთხილს ჯ. ლოლასის

## მომხმობის დანაწილობრივ ვაქცევს ვაქცევს

იგი, თქვენ რაბო არ ქურბობთ? —  
 არა რა ვაქცევს მოსახრავი,  
 თანაც, ცოლ-მუღღის ვინაჟ, თქვენ  
 სარწმინ არ ვაქცევს არაჟინ  
 წყნ კი,  
 წყნ მუხომანს  
 ვაქცევს თათე მათე იფრთხილ  
 და ისე ვაქცევს, რომ ლახის  
 ვაქცევს ხელთ მომცემუღებს...  
 ვინაჟ წელიწად წელიწად იმით  
 მოსახრავი-მუღღებს...  
 წყნ კი არ ვაქცევს, ისინი  
 ვაქცევს წყნ ხელთახას!

## არაფრს მამამდობს სანაჟ სინაღვლს სინაღვლს ვაქცევს განსაღვლელი ზინის მიხედვით

მუხომანს მისი ვითრება  
 მომცემუღებს ვაქცევს  
 და მუღღებს მუღღებს —  
 ამ საკმეში მამდობს.



ახალი ბინა თავისთავად გულისხმობს ერთგვარ კომფორტს — ცენტრალურ გათბობას, წყლით, გაზითა და სხვა სიკეთით სარგებლობას. ერთი სიტყვით, ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს!

ოჩამჩირის რაიონში კომბინირებული საკვების ქარხნის, გეოთერმული ბურღვის სამმართველოსა და სხვა საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, შესაბამისმა უწყებებმა მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ისე შეუქვეყნეს, აუცილებელი საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის საჭირო ბაზის შექმნაზე თავი არ შეუწყუხებიათ!..

გენერალური გეგმაც იმთავითვე ითვალისწინებდა შემკვეთთა წილობრივი მონაწილეობით სამშენებლო ტერიტორიის ათვისებას, ყველა საჭირო კომუნიკაციის მოწყობას. ორგანიზატორის როლი ამ საქმეში დაეკისრა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს. მიუხედავად ამისა, როცა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ოჩამჩირის მე-7 ტრესტი 1979 წელს ხსენებული სახლების აგებას შეუდგა, საინჟინრო კომუნიკაციების დასაწყებად არც ტექნიკური დოკუმენტაცია ჰქონდათ, არც სასტრუქტურული და გაჩაღდა მშენებლობა პირდაპირ დაჭაობებულ, ჩაწეულ-ჩაზნეჭილ მიწაზე, ყოველგვარი დამუშავების გარეშე. ორნახევარი წლის შემდეგ ოჩამჩირის პირველ მიკრორაიონად მონათლულ უბანში საექსპლუატაციოდ გადასცეს ოთხი ხუთსართულიანი და ცხრასართულიანი სახლები, რომლებშიც ჩასახლდა მუშა-მოსამსახურეთა 180 ოჯახი. ჩასახლდნენ ისე, რომ გოლიათურ შენობებში არათუ გათბობის, წყალსადენისა და კანალიზაციის, არამედ ელექტროგანათების ქსელიც არ იყო გაყვანილი!..

გაოცებას იწვევს სხვა გარემოებაც: ბუნებრივად იზადება კითხვა — რამდენად უნდა ყოფილიყვნენ შპრო



**ფაქტი ერთი უხეიროდ დაწყებული მიკრორაიონის მშენებლობისა**

მელი აღამიანები აღრინდელი ყოფით გულაწვრილებულნი, რომ ასეთ მოუწესრიგებელ კერაზე გადაბარგება არჩიეს?!

მაგრამ უმჯობესია, ეს საკითხი ღიად დავტოვოთ, რადგანაც ყურმოკვრით ისიც გავიგეთ, იმ „სულსწრაფ“ მოზინადრეთა შორის საკუთარი სახლებისა და კომუნალური ბინების მფლობელნიც არიანო!..

ნამდვილი და უქვეყელი კი ისაა, რაც ოჩამჩირელმა ახალმოსახლეებმა „ნიანგის“ რედაქციას მოსწერეს და რაც საკუთარი თვალთაც ვნახეთ.

მე-7 ტრესტის მმართველმა გივი ჭიტავამ, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში მისმა მოადგილემ იური ფარცვანიამ, №53 მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსმა ნეირონ ბობუაშვიტების დათვალეირების წინ მშრომელთა საჩივრებთან დაკავშირებულ საკითხებზე აუცილებელი ინფორმაციებით შეგვაიარაღეს.

ნ. ბობუაშვიტის ახსნა-განმარტებით: „კომბინირებული საკვების ქარხნისა და გეოთერმული ბურღვის სამმართველოს მიერ წილობრივი თანხების გამოყოფის შემდეგ, 1982 წლიდან გაყვანილი იქნა წყალსადენი და დროებითი ელგანათების ხაზი. 1984 წელს შედგენილია პროექტი და ხარჯთაღრიცხვა მუდმივი განათების, კანალიზაციის ქსელის, საქვაბე მურჩეობის მშენებლობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის. ხარჯთაღრიცხვაში მოცემული 711 ათასი მანეთიდან 1984 წელს გამოყოფილი 310 ათასი მანეთი დასჭირდება მხოლოდ სამშენებლო სამუშაოებს“.

როგორც გაირკვა, განუსაზღვრელი დროით გადაუღიათ დასახლების კეთილმოწყობა, როგორც მეორეხარისხოვანი საქმე. ამიტომ მიკრორაიონი ღღეს დაახლოებით ასეთნაირად გამოიყურება: მალლივი შენობების გარშემო ბუნებრივი ღრმულების ამოსავსებად დაყრილი მშენებლობის ნარჩენები, მრავალნაირი ნაყარნუყარის უსწორმასწორო ზეინები, რასაც ბინებიდან გამოტანილი

ნავიცი ემატება!.. მოზრდილი მყაროლი ტბორები, გუბებები... და მათი მუდმივი ერთგული ბინადარილო!

„სადაცაა, ნავაგა...“ ერთი საერთო სანაგვე ყუთი მაინც დაედგათ სადმე! — ამბობს ტრესტის 41-ე კოლონის ნორმადარი სვეტლანა კოშუბა.

მაგამედ მაგამედოვი, გეოთერმული ბურღვის სპეციალისტი: „წყალი სართულზე არ ადის, ეზოდან ვედროებით აგვაქვს. მესამე ზამთარია, რაც გათბობის გარეშე ვართ!“

ვლადიმერ ტყეპუჩავა, კომბინირებული საკვების ქარხნის ცვლის უფროსი: „აუტანელ პირობებში ვცხოვრობთ!“


მიკრორაიონს, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მე-7 და მე-13 ტრესტების გარდა, აშენებს სოხუშის სახლმშენებელი კომბინატი. სულ უნდა აღიმართოს ასამდე მრავალსართულიანი სახლი. შემკვეთთა შორის არიან თვით მე-7 ტრესტი, ოჩამჩირის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი, ჩიას მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი და სხვა.

ორიოდე სიტყვა სახლების ხარისხზე:

„კარ-ფანჯრებს გვიწუნებენ მოზინადრენი, თვითნებურად ცვლიან!“ — გვითხრა ტრესტის მმართველმა გ. ჭიტავამ, — „რა ვქნათ, სტანდარტით რაც დაშეებულია და რასაც გვაწვდიან, იმას ვიყენებთ!“

სწორი განცხადებაა, მაგრამ ისიც ხომ ცხადზე უცხადესია, სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებში დამზადებული დაწნეხილი ნახერხის ფილების კარების, კარფანჯრების ძალზე თხელი ჩარჩოების უვარგისობა რომ არავითარ კომენტარს არ საჭიროებს?! მით უმეტეს, გაუნათებელი და გაუთბობელი მიკრორაიონის მცხოვრებლები მათი იმედით ვერ დარჩებიან!

ანზორ ბარაშია  
ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი







რა მოვუხერხო, არ ვიცი,  
იქნებ შენ მაინც ამიხსნა:  
მე დავიჭირე თორმეტჯერ,  
ათჯერ ამ ხელმა დაიხსნა!..




თქვენ ამათი ჩახუტება  
არ გეგონოთ გართობა!  
აბა, რა ქნან ამ საწყულებმა?! —  
ენატრებათ გათბობა!..




კიდევ კარგი, ბევრი არ გვყავს,  
იქნებ — სულაც ორად ორი, —  
„საქმიანი“ უსაქმური,  
ენამელი ორატორი!



ეს ძროხა, ჩლიქს რომ იწუნის,  
ჩვენია, არ ირჭინება!  
ასე ვაჯამთრებთ, ვასწავლით  
დათვების გამოცდილებას!



თავისი აქვს სასწორი,  
არ სწამს გრავიტაცია,  
ამიტომაც თითს ახმარს  
სასწორს გრამიტაცია!



— ცოტაც კიღევ რომ წაგვემუშავა, ხომ ავიცხებოდით პრემიით?!

## ფ რ ა ზ ე ბ ი

- **მისი** რაციონალური მარცვლები არასდროს არ ღივდებოდა.
- **როცა** გამოსავალი არ ჩანს, სხვა შესავლელი უნდა ეძებო!
- **ვიღრმ** სიტყვას ქარს გაატანდე, უნდა დარწმუნდე, რომ ის ზურგქარია!
- **მისი** მეგობრული ღიმილი თანდათან ამხანაგური ხდებოდა.
- **ისე** ღრმად შეტობა, რომ საკუთარი თავიც ვეღარ იბოვა.

ლემონილ სუსორუკოვი  
(ქ. კიევი)

# გაუყოლაპი სიგარეტები

## ფელატონი

ახლა ძნელია იმის დადგენა, პირველად როდის გადაწყვიტა მიხეილ შევცოვმა იოლი გზით ფულის შოვნა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მილიციის მუშაკებმა ხელი რომ შეუშალეს ჩანაფიქრის განხორციელებაში, ეს კი სრული ჭეშმარიტებაა.

თავიდან ყველაფერი ჩვეულებრივ მიდიოდა, ყოველ შემთხვევაში, ასე გვიჩვენებდა ვიფიქროთ. ცხოვრობდა თბილისში 1955 წელს დაბადებული მიხეილ შევცოვა, ლილოს დასასრულების პირველ მიკრორაიონში და სახელმწიფო ფილარმონიის მებაღედ მუშაობდა.

შარშან, ოქტომბერში, ოდესაში გაემგზავრა თურმე ავეჯის შესაძენად, მაგრამ არ მოეწონა. სამაგიეროდ ამერიკული წარმოების სიგარეტი „ქემელი“ მოეწონა საკოლმურნეო ბაზართან რომ ყიდდა ვიღაც უცნობი და, იცით, რამდენი იყიდა?

ოთხმოცი ბლოკი!.. თითო 30 მანეთად, როგორც თვითონ თქვა, და სულ 2400 მანეთი გადაიხადა.

— რისთვის უნდოდა ამდენი? — ბუნებრივია, იკითხავთ თქვენ.

— რაღა თქმა უნდა, გასაყიდა! განა დასაჯერებელია, რომ კაცმა თავისთვის 2400 მანეთის სიგარეტი იყიდოს?

მიხეილ შევცოვასაც სხვა აზრი დაებადა თავში, საგულდაგულოდ შეფუთა ნავაჭრი და ფოსტით გამოგზავნა თბილისში. გზაში ისიც წარმოიდგინა, ბლოკს რამდენ მანეთად გაყიდდა და რამდენს ჩაიჯიბავდა. ამ სასიამოვნო ფიქრებში გართულმა ვერც კი შეინიშნა თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში რომ დაეშვა.

აი, ნანატრი დღეც დადგა: საფოსტო განყოფილებიდან ამანათები გამოიტანა და ტაქსის მოლოდინში კინალამ გულში ჩაიხუტა სათითაოდ. უკვე ცხადად ხედავდა, რომ სიგარეტის მოყვარულთა ჯიბიდან მის ჯიბეში გადმოფრინდებოდა საკმაოდ დიდი თანხა.


ამ დროს მისმა მეზობელმა მიხეილ ვოილენკომ გამოიარა მანქანით. შევცოვმა გააჩერა და თხოვა, ამანათები სახლამდე მიმეტანინეო! ვოილენკო სწორედ შინისაკენ მიდიოდა, მანქანიდან გადმოვიდა, რომ ჩაწყობაში მოხმარებოდა, მაგრამ... ის-ის იყო, ამანათები მანქანასთან მიიტანეს და კარი გამოაღეს რომ მილიციის მუშაკებმა დააკავეს!..

ღიმილი სახეზე შეეყინა მიხეილ შევცოვს. დაკითხვისას, რა თქმა უნდა, არ დაუჯერეს, რომ 800 კოლოფი სიგარეტი თავისთვის იყიდა და ბოლოს აღიარა, 3 მანეთად ნაყიდი თითო კოლოფი ოთხ მანეთად მინდოდა გამეყიდაო. სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე კი გადათქვა: ოდესაში მგზავრობა 150 მანეთი ღამიჯდა, ცოტა ზედმეტად გაყიდვას ვფიქრობდი, რომ ეს თანხა ამენაზღაურებინაო.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოში შევცოვის ასეთი განცხადება არ გაიზიარეს, როგორც სასჯელის შემსუბუქების მიზნით გამოგონილი, და სასამართლომ, ლერი საძაგლიშვილის თავმჯდომარეობით, სუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით!..

ასე დარჩა გასაყიდი სიგარეტები მიხეილ შევცოვს, პატროსანი კაცის სახელის აღდგენას კი რამდენ წელს მოანდომებს, ეს უკვე მასზეა დამოკიდებული!

ფ. მაისანი





# ბარბის ბასემა



ნიანგის რაციონალიზატორული წინადადება თბილისის აეროპორტისათვის

კმაყოფილია — ბელს არ ემდურის, ყველაფერი აქვს, რასაც ინდომებს. იცის, სულ იცის, ვინ ჰყავს ერთგული, ვინ არის მისი გულის მიმდობი.

ერთგულის სიტყვა უსიტყვოდ ესმის და ორგულისაც — ბრძენის თუ სულის. იცის, სადა აქვს გადგმული ფეხვი, ან წინ რა გზა და სიმაღლე ელის.

ზის მაღალ სკამზე ოთახის თავში, სადღაც შორს, თვალი ვერ სწვდება თითქმის — ზოგს რომ ჰგონია, არც ისე ბავშვი, — სულ რომ სველი აქვს სალოკი თითო.

მაგრამ შენს ბელზე თამაშობს ისე, როგორც მენარდე ისვრის კამათელს!.. ისიც წუხს შენი წუხილის მიზეზს, — საქმე აქამდე რომ ვერ გამართე!

შრომობს და ნაშრომს არ აქვს ბარაქა — უმიზნოდ ხარჯავს კაცი პურ-ღვინოს!.. რა უთხრას — ვის რა ელაპარაკოს, ვის გაუწყრეს ან ვის გაუღიშოს?!

ამიტომ უყვართ და თვალში ვინმეს რომ ჩაუვარდეს, როგორც იტყვიან, ხელს არ მოისვამს და, ნაცვლად იმის, თვით მოიხვედრებს გულზე მტრის ტყვიას.

ათთუმინანებს ითვის, ვით ხურდას, რამეთუ ფასი იცის სიხლისი!.. აი, ვაჟკაციც ასეთი უნდა, ასეთი ნაღდი და გამჭირაბი!

ვგვანი ბართია

## ფილოსოფიკები

- ის, ვინც ზოგჯერ ხუჭავს თვალებს, უფრო მეტს ხედავს, ვიდრე ის, ვინც მთელი სიცოცხლე თვალებდაჭყეტილია.
- ქართვს ის იღებს, ვინც მხოლოდ ჭამისთვის ადებს პირს.
- არაშრის კეთება უფრო ძნელია, ვიდრე იმისა, რაც არავის არ სჭირდება.
- შენ ის ხარ, რაც შენს შესახებ სწვებმა იციან!
- ზღვა კოვზით დაიღვევა, თუ მანამდე კოვზი ნაცარში არ ჩავივარდა!
- თუ თვალები გატყუებენ, ყურები მოიშარჯვე!
- ადამიანს ის სძულს, ვინც სიძულვილი ასწავლა, და არა ის, ვინც ამის ღირსია.
- სიცარიელე იქ არის, სადაც სისულელეა მბრძანებელი.
- ბრმას ჯოხი შველის, ბრიყვს — ფული.
- თუ ფეხს გიღებენ, ესე იგი რაღაცას მიაღწიე!
- ხედავდე — ჯერ კიდევ არ ნიშნავს, იცრდე, რა არის!
- ძაღლადი ყველაზე დიდ შეურაცხყოფასაც უძლებს.
- როცა სისხლის დანახვა არ გზარავს, პოტენციური მკვლეელი ხარ!
- როცა ზევით ადიხარ, არ დაივიწყო ჭაობის არსებობაც!

სულხან ჯორჯანელი

## ბარს დაუბრუნდეს „მთიელი“

მას მერე ბევრ დრო გავიდა, ბევრჯერ დაწვიმა, დათოვა, რაც მურღვა სოფელსა შემოსწყრა, გაგვირა და მიგვატოვა!..

ბარისკენ გამოეშურა, შამაფარა ქალაქსა, აქ კი შამზნარი მოედვა მაგის მამ-პაპის ალაგსა!..

დღეს რომ მთას ღმერთმა მოხედა და მოურჩინა იარა, — მურღვამაც ამოგვაკითხა, მაგრამ... სამუდამოდ კი არა!

სახლის მასალა მიართვეს, — ჩააღბო, მიყარ-მოყარა!.. არ სწადის ცელის მოსმა და არც ზენა, არც პურის მოყვანა!..

ცხვრის ფართი დაასაჩუქრეს, — მუსრი გაავლო მგლურადა!.. ვარიგებთ, არა რიგდება, რჩევას არ უშვებს ყურადა!..

სახელ მურღვასაც თაკილობს, — დამიძახეთო მურადა! კიხერზე ჭვარი ჰკილია, ქვეს ღმევას ქალაქურადა!..

რაც მისცეს, მიჭამ-მოჭამა, თხები გაწყვიტა იელით, არცა მთა სწამს და არც ბარი, ჩვენც გვობღვერს ოხერ-ტიელი!..

არ გვინდა, თქვენი ჰირიმე, — ბარს დაუბრუნდეს „მთიელი“!

შოთა არაგული (ყაზნეგის რაიონი)

85-50



საბინძო საბჭოთაო  
 უსრნალი „ნიანგი“ № 3,  
 (1685) თბილისი, გამო-  
 დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
 ჯაშრ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი  
 (პასუხისმგებელი მდივანი).  
 ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზადი  
 ბართაია, ბორის გურგუ-  
 ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-  
 მალ ლოლუა, ნოდარ მალა-  
 ზონია (მხატვარ-რედაქტო-  
 რი). ალექსანდრე სამხონია,  
 ზეჟუნ ხინარულაძე (მთავარი  
 რედაქტორის მოადგილე),  
 ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ  
 წიგწივაძე, ნაფი ჯუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი  
 მისიელ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 14. 1.  
 85 წ. ხელმოწერილია დასა-  
 ბეჭდად 5. 2. 85 წ. ქალაქ-  
 ლის ზომა 60 X 90<sup>1</sup>/<sub>8</sub>  
 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-  
 ლი 1,25, სააორიცხეო-საგარ-  
 მომცემლო თაბახი 1,9. სა-  
 ქართველოს კბ ცკ-ის გა-  
 მომცემლობა, ლენინის, 14  
 შეკვეთა № 106. უე 06418.  
 ტირაჟი 142.000. ჟურნალი  
 გამოდის თვეში ორჯერ.  
 რედაქციაში შემოსული მა-  
 სალები ავტორებს არ უბ-  
 რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.  
 თბილისი-8, რუსთაველის  
 პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
 რედაქტორის — 99-55-54,  
 მთ. რედ. მოადგილის —  
 93-19-42, პ/მგ მდივნის —  
 93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
 ტორის — 99-02-38, გან-  
 ყოფილებათა გამგეების —  
 93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
 მუშაკების — 99-02-38,  
 მდივან - მემენტანის —  
 99-76-69.

სატირიკო - იუმორისტиче-  
 ский журнал «НИАНГИ»  
 (На грузинском языке)  
 Тбилиси, пр. Руставели  
 № 42. Издательство ЦК  
 КП Грузии, Типография  
 издательства ЦК КП  
 Грузии, Тбилиси, улица  
 Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი  
 ინდექსი 76137

სახელმწიფო ღერბის მოღერინზასია

КОНТРОЛЬНЫЕ  
 ЭКЗЕМПЛЯРЫ